ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №104
(გამარტივებული შესყიდვა, მონეტარული ზღვრის დაცვით)

ქ. მარნეული „27“ „მაისი“ 2022 წელი

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი **მერის კენან ომაროვის** სახით, და, **შ.პ.ს. „მარნეული მოლი“,** შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, წარმოდგენილი **დირექტორის ახმედ ბაქიროვის სახით (პ.ნ. 28001001545),** ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „შემსყიდველი“ – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი“ – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

<u>მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების ხელმძღვანელის 25.05.2022 წლის N–07-322214597 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, მერიისთვის ჰიგიენური საშუალებების შესყიდვა (CPV – 196 40000 – პოლიეთილენის პაკეტები და ტომრები ნარჩენებისა და ნაგვისთვის; CPV – 337 11900 – საპონი; CPV – 337 61000 – ტუალეტის ქაღალდი; CPV – 337 64000 – ქაღალდის ხელსახოცები; CPV – 398 11100 – ჰაერის გამწმენდი; CPV – 398 11300 – დეოდორანტები; CPV – 398 30000 – საწმენდი საშუალებები; CPV – 398 31000 – სარეცხი საშუალებები; CPV – 398 32000 – ჭურჭლის სარეცხი საშუალებები).</u>

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **994.20 (ცხრაას ოთხმოცდათოთხმეტი ლარი და ოცი თეთრი) ლარს.**

3.2. მოსაწოდებელი საქონლის ერთეულის ღირებულება შეადგენს: <u>1) CPV – 196 00000 – 194.00 ლარი; 2) CPV – 337 00000 – 358,40 ლარი; 3) CPV – 398 00000 – 441,80 ლარი;</u> თანახმად ინვოისისა.

3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანომდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.4. დაფინანსების წყარო – **2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.**

4. მხარეთა ვალდებულებები:

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

4.1.1. უზრუნველყოს საქონლის **მიწოდება ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან მიმდინარე წლის 03 ივნისის ჩათვლით,** შემდეგ მისამართზე: **ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. N-73.**

4.1.2. დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;

4.1.3. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

4.2.1. უზრუნველყოს ინსპექტირების/კონტროლის განხორციელება;

4.2.2. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. გარანტია

5.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი არ იქნება დაზიანებული, არ გამოავლენს ხარვეზებს და იქნება მოხმარებისთვის ვარგისი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს დაზიანებული და უვარგისი საქონლის შეცვლა ან/და გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორება.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი/ინსპექტირება

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ტექნიკური კონტროლი/ინსპექტირება ან/და გამოსცადონ საქონელი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელების დროს.

6.2. ინსპექტირებას განახორციელებენ ***მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების სპეციალისტი ცირა ჩხიტუნიძე.***

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, ***წუნდებული საქონლის შეცვლა 1 (ერთი) დღის განმავლობაში.***

7. საქონლის მიღება–ჩაბარების წესი

7.1. საქონლის მიღება წარმოებს მიღება–ჩაბარების აქტის სახით. მიღება–ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი პირის/პირების ხელმოწერით. ხელშეკრულების პირობების (ვადების, რაოდენობის, ხარისხის) და კონტროლის განმახორციელებლი პირის/პირების დადებითი დასკვნის შესაბამისად.

7.2. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ***მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების ხელმძღვანელი ან/და მოვალეობის შემსრულებელი.***

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში;

8.2. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

8.3. ანგარიშსწორების ვადა – ***მიღება–ჩაბარების აქტის (საქონლის მიღებიდან) 10 სამუშაო დღის განმავლობაში.***

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზის შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების ან/და სხვა გამომწვევი მიზეზის თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე–11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების **4.1 პუნქტის 4.1.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადის** გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე **ხელშეკრულების ღირებულების 0.02%–ის ოდენობით.**

10.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა შეადგენს **3 (სამი) დღეს**, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო **ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3%–ის ოდენობით.**

10.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2. თუ რაიმე წინასწარი გაუთვალისიწნებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3. დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, გარდა **საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით** გათვალისწინებული შემთხვევებისა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

11.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის **398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების** დადგომის შემთხვევაში, **დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.**

11.5. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

12.2. თუ მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმების გზით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევაში.

13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.

13.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ფორს–მაჟორი

14.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს–მაჟორული მდგომარეობით.

14.2. ამ მუხლის მიზნებისთვის ,,ფორს–მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომელსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს–მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

15. ინტერესთა კონფლიქტი

*15.1. ხელშეკრულების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირი ხელმოწერით ადასტურებს, რომ **„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად,** მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მიერ გამარტივებული შესყიდვის მეთოდით შერჩეულ პრეტენდენტთან **შ.პ.ს. „მარნეული მოლ(ი)“** – თან სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობით განსაზღვრულ ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.*

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

*16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის **ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2022 წლის 29 ივლისის ჩათვლით.***

17. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია
საიდენტიფიკაციო კოდი: 234 232 149
მისამართი: ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. N-73
E-mail: municipalitymarneuli@yahoo.com

მიმწოდებელი:

შ.პ.ს. „მარნეული მოლი”
საიდენტიფიკაციო კოდი: 434 172 370
მისამართი: ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. N-36
ტელეფონი: 593 03 76 76
E-mail: Marneulimall18@gmail.com

საბანკო რეკვიზიტები:
მომსახურე ბანკი: სახელმწიფო ხაზინა,
ბანკი / ბანკის კოდი: TRESGE22
ანგ. N ა.ა GE 24 NB 0330 1002 0016 5022

საბანკო რეკვიზიტები :
მომსახურე ბანკი: სს საქართველოს ბანკი
ბანკი / ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგ. N ა.ა GE 21 BG 0000 0001 0076 9270

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერი:

_____ კ. ომაროვი

დირექტორი:

_____ ა. ბაქიროვი

MARNEULI MUNICIPALITY

Digitally signed by MARNEULI MUNICIPALITY
Date: 2022.05.27 13:42:31 +04'00'

მხარეთა მიერ გამოყენებულია კვალიფიციური/ელექტრონული ხელმოწერები

N	დასახელება	განზომილება	რაოდენობა
1	საზარეულოს ხელსახოცი	ცალი	2
2	ტუალეტის ქაღალდი (32) 3	ცალი	2
3	ხელსახოცი	ცალი	48
4	ტუალეტის ქაღალდი	ცალი	54
5	იატაკის ტილო	ცალი	10
6	ტილო	ცალი	7
7	შუშის ტილო	ცალი	7
8	ნაგვის პარკი თასმით 15 ც.	ცალი	20
9	ნაგვის ტომარა 30 ლ.	ცალი	40
10	ქლორი 1 ლ.	ცალი	14
11	ჭურჭლის სარეცხი სითხე	ცალი	13
12	თხევადი საპონი 5 ლ.	ცალი	4
13	თხევადი საპონი 400 მლ.	ცალი	4
14	სველი ხელსახოცი	ცალი	2
15	სველი ხელსახოცი 100 ც.	ცალი	2
16	სამზარეულოს ღრუბელი 10 ც.	ცალი	2
17	სახეხი ნეჭა	ცალი	2
18	სარეცხი ფხვნილი	ცალი	4
19	ჰაერის გამწმენდი 300 მლ.	ცალი	6
20	მინის საწმენდი 750 მლ.	ცალი	14
21	სახეხი გელი	ცალი	3

22	სახეხი სითხე **750** მლ.	ცალი	**14**
23	ჰაერის გამწმენდი **250** მლ.	ცალი	**10**
24	საპონი მყარი	ცალი	**12**